სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 126

2021 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების დამტკიცების შესახებ**

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 27 ივლისის N107 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2021 წლის 24 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის (N977299) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები შიფრით:

   **ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - (RA-21-069);**

   **ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები - (RA-21-076);**

   **გ) მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები - (RA-21-010);**

   **დ) სოციალური მეცნიერებები - (RA-21-047);**

   **ე) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები - (RA-21-099);**

2. დაევალოს ფონდის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატებისთვის დაწესებული ფულადი პრემიების გადაცემა.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინმდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიულ  დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, მანანა დათუაშვილს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისთვის და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურისათვის.
5. ბრძანება ძალაშია მხარეებისთვის გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**ჯაბა სამუშია**